სამუშაო ჯგუფისა და კომისიის ერთობლივი სხდომის ოქმი N 1

შეხვედრის თარიღი: 28.18.2020 წ

შეხვედრის ადგილი/მუნიციპალიტეტი: სენაკის მუნიციპალიტეტი/ სენეკი.

შეხვედრის მიზანი: მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ხანდაზმული პირებისაგან იმ ადამიანების შერჩევა, რომლებიც გახდებიან ჩვენი პროექტის ბენეფიციარები და რომლებსაც მივაწვდით პროექტის ფარგლებში დადგენილ მომსახურებას.

შეხვედრის მონაწილეები:

1. ნატალია ხუბუა - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი;
2. კახაბერ კუპრეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
3. ვალერიან ბახტაძე - პროექტის ფარგლებში შერჩეული თანამშრომელი /მეეზოვე/;
4. ლია ვაშაყმაძე - პროექტის ფარგლებში შერჩეული თანამშრომელი /დამლაგებელი/;
5. ირაკლი კაკულია - პროექტის ფარგლებში შერჩეული თანამშრომელი /მძღოლი/;
6. ნათია შონია - პროექტის ფარგლებში შერჩეული თანამშრომელი /სოც. მუშაკი/;
7. ანჟელა ხუხუა - პროექტის კოორდინატორი;
8. რუსლან საჯაია - პროექტის დირექტორი.

განხილული საკითხები:

სულ მოკვლევის შედეგად მუნიციპალიტეტში მოძიებული იქნა 32 ხანდაზმული, რომლებიც ჩვენი კრიტერიუმებით წარმოჩინდნენ, როგორც ჩვენი პოტენციური ბენეფიციარები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ პროექტით გვაქვს განსაზღვრული 20 ბენეფიციარის მომსახურება მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა მოძიებული 32 პირიდან 20 ბენეფიციარის შერჩევა. შეხვედრის მონაწილეები აქტიურად განიხილავდნენ ინფორმაციას თვითოეული პირის შესახებ. საბოლოო ჯამში განხილვის შედეგად შერჩეული იქნა 20 ბენეფიციარი.

ქალბატონი ნატალია ხუბუასა და ბატონი კახაბერ კუპრეიშვილის მიერ გამოითქვა გარკვეული სინანული მომსახურების მიღმა დარჩენილ ბენეფიციარებთან დაკავშირებით, რაც სხდომის ყველა მონაწილესაც ერთნაირად აწუხებდა. ბატონმა კახაბერმა, ქალბატონებმა ნატალიამ და ანჟელამ გაიხსენეს მოკვლევის პროცესში მერთან შეხვედრისას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ ლევან კუპრეიშვილის მიერ წარმოთქმული მხარდამჭერი სიტყვები, სადაც ის საუბრობდა იმაზე, რომ თუ ფიზიკურად შესაძლებელი იქნებოდა ის, რომ ყველა გამოვლენილი ხანდაზმული მოიცვას პროექტმა ის ფინანსური მხარდაჭერისათვის მზად იყო. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ დაამოწმეს ბატონმა კახაბერმა და ქალბატონმა ნატალიამ, რომლებმაც სხდომის წევრებს მოახსენეს ბატონი მერის მხრიდან მხარდაჭერისთვის მზადყოფნა, რაც მერმა მათი მეშვეობით შემოუთვალა სხდომის წევრფებს.

ბ-ნ რუსლან საჯაიამ ასევე გამოთქვა წუხილი ამ ეტაპზე მომსახურების მიღმა დარჩენილ ხანდაზმულთა შესახებ, თუმცა მან განაცხადა, რომ ჩვენ პრაქტიკული მუშაობის პირველი

ეტაპი უფრო ნათელ სურათს მოგვცემს და როგორც კი გამოჩნდება შესაძლებლობა აუცილებლად გაიზრდება ბენეფიციართა რაოდენობა.

ქალბატონმა ანჟელამ განაცხადა, რომ ის მომსახურების მიღმა დარჩენილ პირთა დეტალურ შესწავლას დაიწყებდა სოცმუშაკთან ერთად, რათა შესაძლებლობების გამოჩენის შემთხვევაში უფრო ადვილად და არგუმენტირებულად მოხერხდეს დამატებითი ბენეფიციარების შერჩევა.

მიღებული გადაწყვეტილებები:

სხდომის მიერ საბოლოოდ დამტკიცებული იქნა 20 ბენეფიციარი, რომლების მიიღებენ პროექტის ფარგლებში მომსახურებას. ასევე აქტიურად გაგრძელდება მუშაობა მერიასთან მეტი ბენეფიციარის ჩართვის მიზნით. პროექტის კოორდინატორი სოც მუშაკთან ერთად განაგრძობს დარჩენილი ხანდაზმულების დეტალურ შესწავლას.

სხდომაზე გადაწყდა, რომ მობილური ჯგუფი ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიწოდებას შეუდგებოდა საახალწლო უქმეების დასრულებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარე: /ნატალია ხუბუა/

სხდომის მდივანი: /ანჟელა ხუხუა/